

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება

მერიდიან მერიტაიმ თრეინინგ სენტერ

ს/კ: 445593705

ჯავახიშვილის 4ა

ბათუმი, საქართველო, 6004

ტელ: (+995) 511 400 303

ელ-ფოსტა: [info@meridiani.edu.ge](mailto:info@meridiani.edu.ge)

ვებ-გვერდი: [www.meridiani.edu.ge](http://www.meridiani.edu.ge)



LIMITED LIABILITY COMPANY

Meridian Maritime Training Centre

I/N: 445593705

Javakhishvilis str. 4a

Batumi, Georgia, 6004

Tel: (+995) 511 400 303

E-mail: [info@meridiani.edu.ge](mailto:info@meridiani.edu.ge)

Web: [www.meridiani.edu.ge](http://www.meridiani.edu.ge)



№ 00000154



17/04/2024

## პროფესიულ კოლეჯ მერიდიანში პროფესიულ სტუდენტთა მიღების მიზნით, პროფესიულ სტუდენტთა მისაღები კონტიგენტისა და ვადების დადგენის შესახებ

“პროფესიული განათლების შესახებ” საქართველოს კანონის, „პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2021 წლის 2 ივლისის №42/ნ ბრძანების, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მიღების გამოცხადების მიზნით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ანკეტა-კითხვარის შევსების ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N422938 ბრძანების, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე რეგისტრაციის მიზნით, აპლიკანტთა რეგისტრაციის ვადის დადგენის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N422943 ბრძანების, „2024 წელს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე სწავლის დაწყების თარიღის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2024 წლის 12 აპრილის N421937 ბრძანების, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის 124-ე მუხლისა და საზოგადოების მოქმედი წესდების მე-7 მუხლის საფუძველზე

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. 2024-2025 სასწავლო წლისათვის, კოლეჯი მერიდიანის „საგემბანე განყოფილების რიგითის“ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მისაღებ პროფესიულ სტუდენტთა კონტიგენტად განისაზღვროს 96 ვაკანტური ადგილი.
2. 2024-2025 სასწავლო წლისათვის, კოლეჯი მერიდიანის „საგემბანე განყოფილების რიგითის“ მესამე დონის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე მიღების პროცედურები განხორციელდეს ქვემოთ ჩამოთვლილ ვადებში:
  - ა) აპლიკანტის რეგისტრაციის ვადა: 22.04.2024 – 16.05.2024
  - ბ) შიდა შერჩევის / შედეგების ასახვის ვადა: 17.05.2024 – 17.06.2024
  - გ) დოკუმენტების მიღების ვადა: 28.06.2024 – 12.07.2024
  - დ) ჩარიცხვის ბრძანების გამოცემის ვადა: 15.07.2024
  - ე) ინფორმირების / სისტემაში სტუდენტის სტატუსის ასახვის ვადა: 16.07.2024

3. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს განახორციელოს ბრძანების აღსრულებასთან დაკავშირებული პროცედურები საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა და კანონქვემდებარე ნორმატიული ბაზით დადგენილი წესის შესაბამისად.
4. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს განახორციელოს ბრძანების ასახვა პროფესიული განათლების შესაბამის სისტემაში, ბრძანების ძალაში შესვლისთანავე.
5. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს უზრუნველყოფილი იქნეს ბრძანების საჯარო გაცნობის მიზნით, კოლეჯ მერიდიანის ოფიციალურ ვებ-გვერდზე (მათ შორის სოციალურ ქსელში) ინფორმაციის გავრცელება და განთავსება.
6. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს უზრუნველყოს შესაბამისი კონსულტაციების გაწევა დაინტერესებული პირებისათვის.
7. დაევალოს კოლეჯი მერიდიანის შესაბამისი უფლებამოსილების მქონე პირს წინამდებარე ბრძანების დაინტერესებულ პირთათვის გაცნობა.
8. ბრძანება ამოქმედდეს ხელმოწერისთანავე.

შპს კოლეჯი მერიდიანი  
აღმასრულებელი დირექტორი  
შარაბიძე ირაკლი

